ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
ოქმი № 4

ქ. ლანჩხუთი **19.03.2024 წელი**

16:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი;**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: დარეჯან ბურჭულაძე, კარლო წილოსანი, ელისო ჭიჭინაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, ლოლიტა ურუშაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი **პაატა ურუშაძე,** მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** ლანჩხუთის საჭადრაკო კლუბის პრეზიდენტი - **თენგო ხუხუნაიშვილი,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: კარლო კვიტაიშვილი; პაატა ურუშაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების განხილვის შესახებ.

/მომხსენებლები: კარლო კვიტაიშვილი; შოთა ჩაგუნავა/

3.სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა. კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **პაატა ურუშაძემ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-6 მუხლში, რომელიც შეეხება გამარჯვებული გუნდის ან/ და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოებას.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილება განპირობებულია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შეტანილი ცვლილებით, რის საფუძველზეც გაიწერა მოთხოვნა, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული მშენებლობის შეუჩერებლობის შემთხვევაში შესაძლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022

წლის 28 აპრილის N11 დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების ფორმა შესაბამისად საჭიროებს ზემოაღნიშნული ცვლილების ასახვას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე კარლო წილოსანი დაინტერესდა კერძო სახლის მშენებლობის დროს საჭიროა თუ არა ნებართვის აღება. შოთა ჩაგუნავას განმარტებით - საჭიროა. დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ კითხვით მიმართა შოთა ჩაგუნავას, მშენებლობის დაწყებამდე თუ ხდება გაფრთხილება და ასევე მიშენების დროს რა ხდება, ჩაგუნავას თქმით პირველ ეტაპზე ხდება გეოლოგიური დასკვნის დადება, რაც შეეხება მიშენებას, ისიც ახალ მშენებლობაში გადის და საჭიროებს ნებართვას.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ლაშისღელის სასაფლაოს მოხრეშვა უნდა მოხდეს უმოკლეს დროში (აღდგომის დღესასწაულამდე), ვინაიდან ჯერ ვერ ხერხდება აღნიშნული გზის მოასფალტება.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ დააყენა ლანჩხუთის ევგრაფ შევარდნაძის სახელობის სტადიონის მოწესრიგების საკითხი, ვინაიდან იგი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

თენგო ხუხუნაიშვილმა ისაუბრა საერთაშორისო ტურნირის შესახებ, რომელიც გაიმართება ლანჩხუთში. გასულ წელს 27 მუნიციპალიტეტი მონაწილეობდა, წელს კი 31 მუნიციპალიტეტი მიიღებს მონაწილეობას, ასევე რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი. რეგისტრაცია მსურველთათვის მთავრდება 5 აპრილს. კომისიის წევრებმა მადლობა გადაუხადეს მას ტურნირის ორგანიზებისთვის და წარმატება უსურვეს.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №4 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი 19.03.2024 წ.

2024 წლის 19 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2024 წლის 26 მარტის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების განხილვის შესახებ.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2024 წლის 26 მარტის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

19.03.2024 წელი
16:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. კარლო კვიტაიშვილი	15 55	
2. ნინო მშვიდობაძე	არ ესწრებოდა	
3. დარეჯან ბურჭულაძე	16:00	
4. ლოლიტა ურუშაძე	15 58	
5. კარლო წილოსანი	15 55	
6. ირმა მგელაძე	არ ესწრებოდა	
7. მაკა მშვიდობაძე	არ ესწრებოდა	
8. გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	
9. რევაზ კვერენჩხილაძე	16 00	
10. ელისო ჭიჭინაძე	15 55	